● მიმდინარეობს სტუდენტთა III საკავშირო თამაშები.
● მოკლე ექსკურსი ფინალამდე.
● ფეხბურთი — საკავშირო, საქართველოს პირველობა.
● დღეს შეხვდებიან „გიგანტები".
● საგანგაშო ნიშანი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

21 ივლისი

შაბათი, 1962 წ.

№ 142 (1991)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 2 კაპ.


## დღეს იწყება შეჯიბრება

კალათბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და ხელბურთში.

## კალათბურთი

ამ დღეებში რიგასა და მოსკოვში გაიმართა კიდევ რამდენიმე მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში „ა" კლასის ოსტატთა გუნდებს შორის.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა შეხვედრა რიგაში. გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — არმიის სპორტული კლუბის გუნდსა და კიევის „სტროიტელს" შორის. რიგელმა კალათბურთელებმა, რომლებსაც სატურნირო ცხრილში 15 გამარჯვება და არც ერთი დამარცხება არ ჰქონდათ, წააგეს მატჩი მე-16 ტურში. კიევის „სტროიტელმა" მოუგო თავის მრისხანე კონკურენტს — 71:65.

მანამდე რიგაში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი, ადგილობრივმა ვეფმა მიიღო კიევის სკა. შეხვედრა მოიგეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 80:68.

მოსკოვში, დედაქალაქის „დინამომ" ანგარიშით 80:62 დაამარცხა ლენინგრადის სკა.

### გათამაშების ცხრილი

#### ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკა რიგა | 16 | 15 | 1 | 15 |
| ცსკა მოსკოვი | 17 | 15 | 2 | 15 |
| „სტროიტ" კიევი | 18 | 12 | 6 | 12 |
| „სპარტაკი" ლდ. | 17 | 10 | 7 | 10 |
| „დინამო" თბ. | 12 | 9 | 3 | 9 |
| ვეფი რიგა | 17 | 9 | 8 | 9 |
| „დინამო" მოსკ. | 17 | 9 | 8 | 9 |
| „კალევი" ტარტუ | 16 | 6 | 10 | 6 |
| „ურალმაში" სვ. | 13 | 5 | 8 | 5 |
| სკა კიევი | 18 | 4 | 14 | 4 |
| „ბურ". თბილისი | 14 | 1 | 13 | 1 |
| სკა ლენინგრადი | 17 | 1 | 16 | 1 |

## 10 ტურის შემდეგ

ბერლინში გრძელდება ე. ლასკერის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრების სტარტიდანვე დაწინაურდნენ იუგოსლაველი უდოვჩიჩი, საბჭოთა მოჭადრაკეები ვასიუკოვი და შტეინი.

ცხრა ტურის შემდეგ ვასიუკოვსა და უდოვჩიჩს 7-7 ქულა ჰქონდათ. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა შტეინი, იუგოსლაველს ახალი წარმატება მოუტანა მორიგმა ტურმა, როცა მან დაამარცხა გერმანელი ლიბერტი. საბჭოთა გროსმაისტერების უპირატესობით გადაიდო ვასიუკოვ-დრიმერისა (რუმინეთი) და შტეინ-ბარცას (უნგრეთი) პარტიები.

## ორი თბილისელის ტრიუმფი

თორმეტი წლის წინ ფრანგმა ედმონდ დე გალეამ ევროპული ქვეყნების ნორჩ ჩოგბურთელთა გუნდებს შორის გამარჯვებულთათვის სპეციალური პრიზი — ვერცხლის გლობუსი დააწესა და მას შემდეგ ამ თასის გათამაშება ფაქტიურად ევროპის პირველობის გათამაშებას წარმოადგენს.

„გალეას თასზე", რომელსაც თავზე დამაგრებული ჩოგანი ამშვენებს, სამჯერ იყო ამოკვეთილი ესპანეთის სახელი, ნიშნად მისი სამი გამარჯვებისა ამ უდიდეს ასპარეზობაში.

საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს, რომელიც ამჟამად ავსტრიის ქალაქ კიცბიუელში მონაწილეობს უაღრესად ძლიერ ზონაში, პირველი მატჩის ჩატარება სწორედ ესპანელებთან მოუხდათ.

საბჭოთა გუნდს პირველი ქულა თბილისელმა ა. მეტრეველმა მოუტანა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი ესპანეთის „პირველ ჩოგნად" აღიარებულ ჟილბერტის წინააღმდეგ და გამარჯვება მოიპოვა — 6:4, 6:3.

მეორე ქართველი ოსტატი ნ. მძინარიშვილი შეხვდა ესპანელ ჰ. ლოვეს. მძინარიშვილმა წაიყვანა ანგარიში — 4:2, მაგრამ ესპანელმა არა მარტო გაათანაბრა იგი, არამედ პარტიაც მოიგო — 6:4.

სპეციალისტთა აზრით, თამაში გარდატეხა იყო შეტანილი ესპანელის სასარგებლოდ, მაგრამ ქართველმა ჩოგბურთელმა ეს პროგნოზები გააქარწყლა და ზედიზედ 12 გეიმი მოიგო. ეს იყო მძინარიშვილის სპორტული ოსტატობის დემონსტრირება და სამაგალითო გამარჯვება — 4:6, 6:0, 6:0.

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ა. მეტრეველმა და ნ. მძინარიშვილმა წყვილთა შეხვედრაშიც ცხადყვეს თავიანთი ოსტატობა და მესამე ქულა მოუტანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს, რაც უკვე საკმარისი იყო ამ მატჩში გასამარჯვებლად.

## გ. სვეშნიკოვა — მსოფლიოს ჩემპიონი

ტურინის გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის რაპირით მოფარიკავე ვაჟთა გუნდმა პირველობა მოიპოვა.

წლევანდელ ჩემპიონატში, რომელიც ბუენოს-აირესში მიმდინარეობს, გაცილებით ძლიერი შემადგენლობა მონაწილეობს და აქ, სწორედ ამ უძლიერესებთან ასპარეზობაში, რომელშიც გასული წლის ჩემპიონი რ. პორულსკიც (პოლონეთი) მონაწილეობდა, თავისი სიტყვა თქვა საბჭოთა სპორტსმენმა გ. სვეშნიკოვმა.

25 წლის სპორტის ოსტატმა მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ტურნირი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს დაესაკუთრა.

რაპირით ბრძოლაში ქალთა შორის გაიმარჯვა ო. საბომ (უნგრეთი), მეორე ადგილზეა გ. გოროხოვა (სსრკ).

## პსკოვის საწყლოსნო ბილიკებზე

პსკოვში გაიმართა საკავშირო პირველობა საზღვაო ნიჩბოსნობასა და კანოეში. ... ზაიდარით 10.000 მეტრზე უძლიერესი იყო ტაჯიკელი ი. ჰასანოვი, ეს იყო მისი მესამე გამარჯვება ამ შეჯიბრებაზე.

ორადგილიანი ზაიდარებით შეჯიბრებაში კონკურენციის გარეშე იყვნენ ა. გრიშინი და ნ. ჩუქიკოვი.

10.000 მეტრზე ერთადგილიანი კანოებით ევროპის ჩემპიონმა ჩერკასელმა ა. ხიმიჩევმა ძირითადად მ. ზამოტინთან და ა. სილაევთან ბრძოლაში შეძლო ოქროს მედლის მოპოვება. სამაგიეროდ, ორადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე პირველობა დარჩათ ოლიმპიურ ჩემპიონებს ნ. გეიშტორსა და ს. მაკარენკოს.

## კვლავ საბჭოთა გუნდი ლიდერობს

მარიანსკა-ლაზნეში (ჩეხოსლოვაკია), სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე გაიმართა მორიგი, VI ტური. ამ დღეს გათამაშების ლიდერის — საბჭოთა სპორტსმენების წინააღმდეგ თამაშობდა უნგრეთის სტუდენტთა გუნდი. ოთხი პარტიიდან ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოაგროვეს 3,5 ქულა და 17,5 ქულით კვლავ განაგრძობენ ლიდერობას.



თბილისის „დინამოს" მეკარემ სერგო კოტრიკაძემ განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარა უკანასკნელი მატჩები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე. მისი დროული და გაბედული გამოსვლები, თავგანწირული ნახტომები ერთბაშად წყვეტდნენ მოწინააღმდეგეთა სახიფათო შეტევებს, აქარწყლებდნენ მწვავე საგოლე მომენტებს. მოსკოვის ტორპედოელებთან და დინამოელებთან მატჩებში ს. კოტრიკაძის არაერთმა აკრობატულმა ნახტომმა, თავდამსხმელთა ფეხებში თავგანწირულმა „ჩაწოლამ" და „ცხრიანში" მოწყვეტილმა ბურთმა ტრიბუნების ერთსულოვანი ტაში და ოვაციები გამოიწვია.

სურათზე: სერგო კოტრიკაძე კიდევ ერთხელ უვნებელყოფს სახიფათო შეტევას ბაქოს „ნეფტიანიკთან" მატჩში.

ფოტო ფ. რაჯაბლისა.

საკავშირო თამაშები
თბილისი 1962

# სამი საპატიო ადგილი

მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში, სამ დღეს მიმდინარეობდა საკავშირო შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ პრიზზე.

ასპარეზობაზე თავი მოიყარა 150 საუკეთესო სამბისტმა რიგიდან, როსტოვიდან, კიშინიოვიდან, მინსკიდან, სვერდლოვსკიდან. მოსკოვმა წარმოადგინა ხუთი გუნდი: „დინამო“, „ბურევესტნიკი“, „ტრუდი“, „ლოკომოტივი“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები. პირველობაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი სპორტის ოსტატები: თ. არაბული (მსუბუქი წონა), ს. ჩიტაშვილი (საშუალო წონა) და გ. ნონიკაშვილი (ქვემძიმე წონა).

ქართველმა სამბისტებმა მთელი შეჯიბრი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და დამსახურებულად მოიპოვეს საპატიო ადგილები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ს. ჩიტაშვილის გამოსვლები, რომელსაც ლამაზი ჭიდაობისათვის მაყურებელი ტაშით აჯილდოვებდა. შვიდი წმინდა გამარჯვებით ს. ჩიტაშვილმა ტურნირში დაიკავა პირველი ადგილი. მასვე გადაეცა სპეციალური პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის. კიდევ ერთხელ [illegible] თავი გ. ნონიკაშვილმა, რომელმაც მისთვის უჩვეულო, ქვემძიმე წონაში გამარჯვებულის სახელი დაისაკუთრა.

ჩვენი ქვეყნის 1961 წლის ჩემპიონმა თ. არაბულმა ექვსი შეხვედრა წმინდად, ხოლო ერთი ქულებით მოიგო. მერვე შეხვედრაში მისი წაგება მეტად სადაო იყო. მან შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა.

**უ. მოსესოვი**

# გუნდური შედეგები გაირკვა

ჩოგბურთელთა ნახევარფინალური მატჩებიდან დასკვნით ასპარეზობაში მონაწილე გუნდები უნდა გაერკვია ლენინგრადისა და ტარტუს უნივერსიტეტის, აგრეთვე საქართველოსა და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდთა შეხვედრას. მატჩები უაღრესად დაძაბულად ჩატარდა: ლენინგრადისა და ესტონელ ჩოგბურთელთა შეხვედრაში გამარჯვებული შერეულ წყვილთა შეხვედრას უნდა გაერკვია, რადგან მანამდე ანგარიში საყაიმო იყო — 3:3.

ესტონელმა სპორტსმენებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს თამაში და მოუგეს ლენინგრადელთა ძლიერ წყვილს, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი ა. პოტანინი.

საინტერესოდ ჩატარდა მეორე ფინალური გუნდის გამოსავლენი შეხვედრაც. თბილისელმა ნ. ბარნაბიშვილმა პირველ პარტიაში დამარცხების (0:6) შემდეგ ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის ა. გონჩარენკოს წინააღმდეგ და გამარჯვებას მიაღწია — 0:6, 6:4, 6:4.

სპორტის ოსტატმა ი. ერმოლოვამ ადვილად დაამარცხა უკრაინელი მონეტა, ხოლო ე. ვერულავამ — დიდენკო.

სურმავასა და მაკუშკოს დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებას კვლავ ქართველმა ჩოგბურთელმა მიაღწია — 4:6, 6:4, 6:4. დასასრულ, ერმოლოვა-ვერულავას წყვილმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა მონეტა-დიდენკოს წყვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდთა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისისა და მოსკოვის ჩოგბურთელთა კოლექტივებმა.

გუშინ შედგა გუნდური პირველობის ფინალი. მოედანზე გამოვიდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტარტუს უნივერსიტეტის გუნდები. თბილისელი ი. ერმოლოვა შეხვდა ი. ხილინგს, პირველი პარტია ერმოლოვამ მოიგო, მეორე პარტიის მიმდინარეობის დროს ტალინელი ცუდად გახდა და დატოვა კორტი. ასეთივე ბედი ეწია ნ. ბარნაბიშვილის მოწინააღმდეგეს ი. ლანპს. ამის შემდეგ ტალინელებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა და თბილისელებს მიენიჭათ III თამაშების ჩემპიონის სახელი.

ამ დღეს კიდევ მეორე გამარჯვება მოვიპოვეთ. თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტმა დაამარცხა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ჩოგბურთელები და გახდა თამაშების ჩემპიონი.

# პროგნოზი გამართლდა

იმ ფაქტმა, რომ ესპადრონით მოფარიკავეთა პირად პირველობაზე გამართული ტურნირის ფინალში საქართველოს სამი წარმომადგენელი გავიდა და მათ შორის ორი მათგანი — სპორტის ოსტატები მ. სახვაძე და ი. კოვაჩევიჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ, გულშემატკივრებს უკვე დაუსახა გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულის კონტური.

ეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო და პროგნოზი სავსებით გამართლდა.

ნახევარფინალურ ბრძოლებში, რომელშიც ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის, ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, სარატოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლენინგრადის უნივერსიტეტის უძლიერესი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (მ. სახვაძე, ი. კოვაჩევიჩი, მ. ასათიანი) ურალისა და სარატოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებზე გამარჯვებით (შესაბამისად 5:0 და 5:2) უზრუნველყო ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება.



ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წინააღმდეგ საფარიკაო ბილიკზე გამოვიდნენ მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მოფარიკავეები. უაღრესად საინტერესო ბრძოლა ქართველ მოფარიკავეთა გამარჯვებით დამთავრდა, რამაც მათ სტუდენტთა მესამე სპორტული თამაშების ჩემპიონობა მოუტანა.

პირველი სახეობა ფარიკაობაში — პირველივე გამარჯვება, — ჩინებული სტარტია ჩვენი სპორტსმენებისათვის.

* * *

**სურათზე:** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ესპადრონით მოფარიკავეთა გუნდი (მარცხნიდან — მ. ასათიანი, ი. კოვაჩევიჩი და მ. სახვაძე), რომლებმაც პირველი ადგილი მოიპოვეს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# მოკლე ექსკურსი ფინალამდე

△

**ვ. ფროლოვი,**
სტუდენტთა III საკავშირო თამაშების მთავარი მსაჯი.

△

სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშები პირველად 1958 წელს კიევში ჩატარდა, თუმცა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებს თითქმის ოცი წლის ისტორია აქვს. რასაკვირველია, სტუდენტთა სპორტული თამაშები, რომლებიც ტრადიციულად დამკვიდრდა მოსკოვში გამართულ სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის შემდეგ, ბევრად აღემატება ადრინდელ შეჯიბრებებს, როგორც მონაწილეთა რაოდენობით, ისე მათი ოსტატობით და პროგრამის სირთულით.

ასე მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, 1952 წლის სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამა ითვალისწინებდა სპორტის ოთხ სახეობას, ლონისძიებებში სულ 623 კაცმა მიიღო მონაწილეობა, ამასთან გამარჯვებულთა შორის არა ერთი და ორი მეორეთანრიგოსანიც იყო.

უკვე მეორე სპორტულ თამაშებზე, რომელიც ხარკოვში გაიმართა 1960 წელს, შეჯიბრებაში მონაწილეობდა შვიდ ათასამდე სპორტსმენი. ასეთივე რაოდენობა მონაწილეობს ამჟამად სტუდენტთა III სპორტულ თამაშებზე თბილისში. მონაწილეთა თითქმის მთლიანი შემადგენლობა დაკომპლექტებულია სპორტის ოსტატებითა და პირველთანრიგოსნებით. აქ, როგორც წესი, მეორეთანრიგოსანი სპორტსმენები ვერ მოხვდნენ.

III სპორტული თამაშების პროგრამა სპორტის 19 სახეობას ითვალისწინებს. ამათგან პროგრამის 16 სახეობა თბილისში ჩატარდება. ფინალურ შეჯიბრებებს წინ უსწრებდა სპარტაკიადები და შეჯიბრებები ადგილებზე — ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში. ქალაქების, ოლქებისა და მხარეების, შეჯიბრებებზე გამარჯვებულები მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ ასპარეზობებში სტუდენტთა III სპორტულ თამაშებში მონაწილეობის უფლების მისაღებად. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან თბილისში მოიყარეს თავი ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა.

საქართველოს მზიური დედაქალაქისაკენ წამსვლელთა საგზური დიდი სპორტული ბრძოლების შედეგად 7000 სპორტსმენმა მოიპოვა და ისინი წარმოადგენენ ორასი უმაღლესი სასწავლებლის (შვიდასიდან) ექვსასზე მეტ გუნდს.

საქართველოს სპორტის მოყვარულებისათვის — გაზეთ „ლელოს“ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება რესპუბლიკის სტუდენტთა გუნდების პერსპექტივა ამ შეჯიბრებებზე.

ფინალურ ასპარეზობაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ მდიდარი ტრადიციების მქონე პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მონაწილეობს 13 სახეობაში), სახელმწიფო უნივერსიტეტის (9 სახეობაში), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ფეხბურთში), თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ფრენბურთში) და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის (სამბოში) გუნდები, როგორც ცნობილია, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს სპორტის 9 სახეობაში — სპეციალურ — ფიზკულტურის ინსტიტუტების ჯგუფში.

ამ გუნდებიდან რასაკვირველია, ყველაზე ძლიერად გამოიყურება ჩვენს ქვეყანაში სპორტული მიღწევებით კარგად ცნობილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, რომელიც დანარჩენ სასწავლებელთა შორის თავისებურ „მონოპოლისტადაც“ ითვლება და 19 სახეობიდან 13-ში იღებს მონაწილეობას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი I და II სპორტული თამაშების ჩემპიონი და თასის მფლობელია მასობრიობაში და სპორტულ სარბიელზე მოპოვებული წარმატებისათვის. ამ შესანიშნავმა კოლექტივმა II სპორტულ თამაშებზე პირველი ადგილები დაიკავა კალათბურთელ ქალთა შეჯიბრებაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ჩოგბურთსა და ფარიკაობაში. სტუდენტთა თამაშების ჩემპიონთა შორის იყვნენ ჯ. დავლიანიძე, ა. ხაბეიშვილი, მ. სახვაძე, ი. რიაზანოვა და სხვა ცნობილი სპორტსმენები.

არანაკლებ ცნობილი სპორტსმენებით შეუძლია იამაყოს უნივერსიტეტს: სამბისტი პ. ჩიკვაიძე, ჩოგბურთელები ლ. მძინარიშვილი და ვ. ლუკაშვილი, მძლეოსნები ლ. იევლევა, რ. ქოჩაკიძე და სხვები მრისხანე ძალას წარმოადგენენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე.

გამარჯვებულის წინასწარ განსაზღვრა ახლა ძალიან ძნელია, რადგან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სპორტის განვითარების „გეოგრაფია“ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად შეიცვალა. ამაღლდა ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების სტუდენტთა სპორტული ოსტატობის დონე, მნიშვნელოვნად მოიმატა რუსეთის ფედერაციის ჩრდილო და აღმოსავლეთ ოლქების უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების ხვედრითმა წონამ სპორტულ სარბიელზე და სხვა.

მიუხედავად ამისა, ბრძოლა ჩემპიონობისათვის და პრიზისათვის მასობრიობაში, ძირითადად მაინც საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის სპორტულ კოლექტივებს შორის უნდა წარიმართოს.

საქართველოს სპორტული დელეგაცია 450 კაცით არის დაკომპლექტებული და ისინი ალბათ ყველაფერს გააკეთებენ საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად. მათ თავისებური „კოზირებიც“ აქვთ — გამოდიან საკუთარ მოედნებზე, სადაც როგორც იტყვიან, მათ კედლებიც დაეხმარებათ; თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ ტემპერამენტიან მაყურებელთა გულშემატკივრობა ხელს უშლის ხოლმე შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას.

დასასრულს, მსაჯთა კოლეგიის სახელით მსურს გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო სტუმართმოყვარე მასპინძლებს, III სპორტული თამაშების ორგანიზატორებს იმ ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, რასაც ჩვენ ფეხის ყოველ ნაბიჯზე განვიცდით.



**სურათზე:** სტუდენტთა მესამე თამაშების პრიზიორი ტრეკზე რბოლაში ვ. შახპარონიანი დისტანციის დამთავრების შემდეგ. შახპარონიანმა ამ შეჯიბრებაზე შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ფოტო ი. იუნაევისა.

# მიმდინარეობს სტუდენტთა III საკავშირო თამაშები

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში, **პირველი ქვეჯგუფის** გათამაშების ლიდერმა ტყიბულის „მეშახტემ“ საკუთარ მინდორზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი“. მასპინძლებმა მატჩი ჩაატარეს მაღალ დონეზე, რუსთაველთა კარში გაიტანეს ოთხი მშრალი ბურთი და კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის მდგომარეობა.

**ცხინვალის** „ბურევესტნიკი“ საკუთარ მოედანზე ეთამაშა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს. მატჩი მიმდინარეობდა დაძაბულად და დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით — 3:2.

**ფოთში** ადგილობრივმა „მექანიზატორმა“ მიიღო თბილისის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს გუნდი. შეხვედრის ანგარიშია ფრე — 2:2.

**კვლავ** დამარცხდნენ ყვარლელები. ამჯერად მათ წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „ისანი“. პირველსავე წუთზე მასპინძლებმა გაიტანეს გოლი მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ შესვენებამდე თბილისელებმა ორჯერ აიძულეს მასპინძლები ბურთი გამოეტანათ საკუთარი ბადიდან.

**ზესტაფონში** თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და ცხაკაიას „განთიადი“. მთელი შეხვედრის განმავლობაში აშკარა იყო სტუმრების უპირატესობა და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:1.

**სოხუმის** დინამოელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ჩოხატაურის „ბახმარო“ — 4:0, ხოლო 18 ივლისს თვითონ დამარცხდნენ თბილისის ადგ. მრეწვ. სამმართველოს გუნდთან — 2:3.

**მოულოდნელი** დამარცხება განიცადა ლანჩხუთის „გურიამ“ წულუკიძეში, სადაც იგი ეთამაშებოდა ადგილობრივ „ფეიქარს“. მატჩის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს გოლის გატანა, მაგრამ თითქმის იმავე წუთში ლანჩხუთელებმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს ანგარიში. დარჩენილ დროში წულუკიძელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 2:1.

**მეორე ქვეჯგუფში** თბილისში ერთმანეთს ხვდებოდნენ დედაქალაქის გუნდები — არმიელთა სპორტული კლუბი და „სინათლე“. დასაწყისიდანვე მოედანზე გაიმართა მწვავე, საინტერესო ბრძოლა. მე-14 წუთზე არმიელებმა გახსნეს ანგარიში. შესვენების შემდეგ ბრძოლამ უფრო დაძაბული ხასიათი მიიღო, მაგრამ ანგარიშში ცვლილება არ მომხდარა.

**დამაჯერებელი** გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის „იმერეთმა“ საკუთარ მოედანზე გურჯაანის „კახეთთან“ შეხვედრაში. მატჩი მიმდინარეობდა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით და მათივე გამარჯვებით (6:1) დამთავრდა.

**საკუთარ** მოედანზე წარმატებით ითამაშა გეგეჭკორის „სალხინოს“ გუნდმა სამტრედიელ რკინიგზელთა წინააღმდეგ. გეგეჭკორელებმა შეძლეს ერთადერთი გოლის გატანა და გათამაშების ცხრილში ორი ქულა ჩაიწერეს.

**ორმხრივი** იერიშებით აღინიშნა მატჩი გორში ადგილობრივ „დილასა“ და მახარაძის „მერცხალს“ შორის, 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

**ბორჯომის** „განთიადმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო ქობულეთის „შუქურა“. პირველი 15 წუთი ბორჯომელებმა მოწინააღმდეგის ნახევარზე გაატარეს, შექმნეს გოლის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ამაოდ. შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა. პირველი ნახევარი დამთავრდა სტუმრებს უპირატესობით — 2:1. მეორე ნახევარში ქობულეთელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 4:1.

**ახალციხის** „მესხეთს“ მორიგი მატჩი ჰქონდა ხობში „კოლხიდის“ წინააღმდეგ. დასაწყისში ინიციატივა ხობელების მხარეზე იყო, რომლებმაც გახსნეს კიდეც ანგარიში. შესვენების შემდეგ მოედანს დაეპატრონენ სტუმრები და მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე თავი დააღწიეს დამარცხებას — 1:1.

**თელავში** ადგილობრივი „ნადიკვარისა“ და ბათუმის „სპარტაკის“ მატჩში მასპინძელთა მიერ გატანილ პირველ გოლს ორი წუთის შემდეგ გოლით უპასუხეს სპარტაკელებმა. შემდეგ მოწინააღმდეგეებმა კიდევ თითო ბურთის გატანა შეძლეს და შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:2. მეორე ნახევარში ანგარიშში ცვლილება არ მომხდარა.

## გათამაშების ცხრილები

### I ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე“ ტყიბული | 16 | 12 | 1 | 0 | 38—10 | 28 |
| „განთიადი“ ცხაკაია | 16 | 10 | 3 | 3 | 34—12 | 23 |
| „ოდიში“ ზუგდიდი | 15 | 10 | 3 | 2 | 30—19 | 23 |
| „გურია“ ლანჩხუთი | 15 | 9 | 4 | 2 | 32—15 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 16 | 8 | 3 | 5 | 40—23 | 19 |
| ადგ. მრეწ. სამ. თბილისი | 16 | 7 | 4 | 5 | 31—29 | 18 |
| „ისანი“ თბილისი | 16 | 7 | 3 | 6 | 20—18 | 17 |
| „ფეიქარი“ წულუკიძე | 16 | 7 | 2 | 7 | 24—27 | 16 |
| „ბურევესტნიკი“ ცხინვალი | 15 | 4 | 5 | 6 | 18—23 | 13 |
| „დურუჯი“ ყვარელი | 15 | 4 | 5 | 6 | 15—28 | 13 |
| „მეტალურგი“ ზესტაფონი | 16 | 4 | 4 | 8 | 27—32 | 12 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 16 | 4 | 2 | 10 | 28—34 | 10 |
| „მექანიზატორი“ ფოთი | 16 | 3 | 3 | 10 | 12—32 | 9 |
| „დინამო“ სოხუმი | 16 | 3 | 2 | 11 | 19—32 | 8 |
| „ბახმარო“ ჩოხატ. | 16 | 2 | 1 | 13 | 15—51 | 5 |

### II ქვეჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი“ ქუთაისი | 16 | 10 | 5 | 1 | 41—16 | 25 |
| „შუქურა“ ქობულეთი | 17 | 11 | 2 | 4 | 33—19 | 24 |
| „მერცხალი“ მახარაძე | 17 | 8 | 7 | 2 | 32—11 | 23 |
| „სინათლე“ თბილისი | 17 | 10 | 1 | 5 | 40—20 | 21 |
| „დილა“ გორი | 16 | 7 | 6 | 3 | 20—11 | 20 |
| „მესხეთი“ ახალციხე | 16 | 7 | 5 | 4 | 33—23 | 19 |
| „სპარტაკი“ ბათუმი | 17 | 6 | 7 | 4 | 21—17 | 19 |
| სკა თბილისი | 17 | 8 | 3 | 6 | 28—31 | 19 |
| „ლოკომოტივი“ სამტრედია | 17 | 5 | 7 | 5 | 27—25 | 17 |
| „სალხინო“ გეგეჭკორი | 17 | 6 | 2 | 9 | 15—20 | 14 |
| „კახეთი“ გურჯაანი | 17 | 4 | 6 | 7 | 25—35 | 14 |
| „განთიადი“ ბორჯომი | 16 | 4 | 5 | 7 | 19—25 | 13 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 12 | 3 | 6 | 3 | 11—13 | 12 |
| „კოლხიდა“ ხობი | 17 | 1 | 7 | 9 | 12—29 | 9 |
| „მაღაროელი“ ჭიათურა | 16 | 2 | 4 | 10 | 16—37 | 8 |
| „ნადიკვარი“ თელავი | 17 | 2 | 1 | 14 | 19—58 | 5 |

## გათამაშების ცხრილები
## ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 21 ივლისისათვის

### I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 7 | 5 | 0 | 18—5 | 19 |
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 7 | 4 | 0 | 26—12 | 18 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 12 | 6 | 4 | 2 | 22—7 | 16 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 6 | 2 | 3 | 18—14 | 14 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 12 | 4 | 4 | 4 | 16—11 | 12 |
| სკა (როსტოვი) | 11 | 3 | 4 | 4 | 18—16 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 12 | 3 | 4 | 5 | 13—16 | 10 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 11 | 2 | 5 | 4 | 14—9 | 9 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 11 | 2 | 2 | 7 | 9—24 | 6 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 11 | 2 | 1 | 8 | 9—19 | 5 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 10 | 1 | 3 | 6 | 7—27 | 5 |

### II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 6 | 3 | 3 | 28—13 | 15 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 11 | 5 | 4 | 2 | 18—9 | 14 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 3 | 3 | 12—7 | 13 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 2 | 4 | 23—17 | 12 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 12 | 3 | 6 | 3 | 15—12 | 12 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 4 | 4 | 3 | 18—10 | 12 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 11 | 3 | 4 | 4 | 16—18 | 10 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 11 | 4 | 2 | 5 | 11—13 | 10 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 11 | 3 | 4 | 4 | 6—20 | 10 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 10 | 3 | 2 | 5 | 12—16 | 8 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 11 | 2 | 2 | 7 | 6—20 | 6 |

• • •

გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I და II ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

19 ივლისს მოსკოვში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ განიცადა დამარცხება ლენინგრადის „ზენიტთან“ ანგარიშით 0:2.

გუშინ, მოსკოვში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი. მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდა ბაქოს „ნეფტიანიკს“.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით — 5:0.

## „ლოკომოტივი“ (თბილისი)-„ნავთობის ქვეში“ (ბაქო) — 5 : 0

ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებმა თბილისის „ლოკომოტივმა“ და ბაქოს „ნავთობის ქვებმა“ 19 ივლისს თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ჩაატარეს პირველი წრის უკანასკნელი მატჩი.

15-15 ჩატარებული შეხვედრიდან თბილისელებს მოგროვილი ჰქონდათ 17 ქულა, ხოლო ბაქოელებს— 14 ქულა. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის დაძაბულობა და მიუხედავად დიდი სიცხისა, თამაში წარიმართა სწრაფ ტემპში, საინტერესოდ.

პირველი წუთები აღინიშნა ორმხრივი იერიშებით და მეკარეებს თავიდანვე მოუხდათ დიდი დატვირთვით „მუშაობა“. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს იგი, განსაკუთრებით ენერგიულად და ნაყოფიერად მოქმედებდნენ იაშვილი და ურთქმელიძე. სწორედ ესენი გახდნენ პირველი ბურთის თანაავტორები. ეს მოხდა მე-20 წუთზე. ცენტრიდან მიღებული ბურთი ურთქმელიძემ სწრაფად გადააწოდა მარჯვენა ფრთაზე იაშვილს, რომელმაც გვერდი აუარა ორ მცველს და შეიჭრა საჯარიმო მოედანზე. ბაქოელთა მეკარე დავიდოვმა ორჯერ მოიგერია იაშვილის ძლიერი დარტყმები, მაგრამ საბოლოოდ ბურთს მიუსწრო ურთქმელიძემ და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში — 1:0. ამან წონასწორობიდან გამოიყვანა ბაქოელთა მეკარე და ჯერ 23-ე წუთზე, ხოლო შემდეგ 28-ე წუთზე, გაუშვა იოლი ბურთები — 0:3.

31-ე წუთზე კვლავ ისახელეს თავი იაშვილმა და ურთქმელიძემ. იაშვილის მიერ ჩატარებული სწრაფი და ლამაზი დრიბლინგი, ასევე კარში ლამაზი და ძლიერი თავური დარტყმით დააგვირგვინა ურთქმელიძემ. პირველი ტაიმი ლოკომოტიველებმა მოიგეს ანგარიშით 4:0.

შეხვედრის მეორე ნახევარი თბილისელებმა პასიურად ჩაატარეს, სტუმრებმა ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს ლოკომოტიველთა კართან, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. უფრო მეტიც, თბილისელებმა მეხუთე ბურთი გაიტანეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან.

ამრიგად, ანგარიშით 5:0 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.



• • •

სურათზე: შეტევაზეა მ. იაშვილი (მარჯვნივ).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „დინამო“ (ბათუმი)-„სტროიტელი“ (აშხაბადი) — 1 : 0

ბათუმის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო აშხაბადის „სტროიტელი“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 1:0.

## თასი კვლავ სტუდენტებმა მოიპოვეს

ფეხბურთში თბილისის თასის გათამაშებაში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის მონაწილეობა მიიღო 190-მდე გუნდმა.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა სატყეო კომბინატის საქარხნო ახალგაზრდული გუნდი, ხოლო „სინათლემ“ (ქალაქის სატრანსპორტო სამმართველო) განმეორებით მატჩში — „ისანი“.

ამრიგად, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „სინათლის“ გუნდები. თამაში დაიწყო უინტერესოდ, ტემპის გარეშე. მთელი რიგი ორმხრივი უშედეგო იერიშების შემდეგ 35-ე წუთზე სტუდენტთა გუნდის მარჯვენა შუამარბმა ეგოროვმა გაიტანა პირველი ბურთი მოწინააღმდეგის კარში. ტაიმის დასასრულს „სინათლემ“ გაათანაბრა ანგარიში — 1 : 1.

შეხვედრის მეორე ნახევარში თამაში გამოცოცხლდა და ჯერ მე-15, ხოლო შემდეგ 28-ე წუთზე იმავე ეგოროვმა ანგარიში გაზარდა 3 : 1-მდე. უკანასკნელ წუთებზე ჯიბლაძემ მეოთხედ აიძულა ტრანსპორტელები დაეწყოთ თამაში ცენტრიდან.

ამრიგად, ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა ფინალურ მატჩში გამარჯვებით (4 : 1) შეინარჩუნა საქალაქო თასი და ამასთან ერთად მოიპოვა მონაწილეობის უფლება საქართველოს თასის გათამაშებაში.

დასასრულს უნდა აღინიშნოს მსაჯ ჯანგველაძის არადამაკმაყოფილებელი მსაჯობა. მან, გარდა იმისა, რომ უშვებდა უხეშ შეცდომებს მსაჯობაში, ვერ აღკვეთა სპორტსმენთა უდისციპლინობა მოედანზე.

ა. გონელი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# ფეხბურთის მოყვარულები



## საგანგაშო ნიშანი

1952 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჰოლანდიელი მოცურავე ქალების სპიმელის, ვან ველცენის, დენ ჰანის, გასტელარსის, ჰემსკერკის სახელი საქვეყნოდ ცნობილი გახდა. მაგრამ უკვე 1960 წლისათვის ჰოლანდიელებს ევროპის რეკორდები ჩამოართვეს უნგრელმა მადარაშმა და შვედმა სპორტსმენებმა სედერკვისტმა და რილანდერმა. ეს, რასაკვირველია, ჰოლანდიის მოცურავეეთათვის საგანგაშო ნიშანი იყო. ამიტომ კავშირმა ავსტრალიიდან მოიწვია ძალზე ძვირად ფასებული მწვრთნელი კარლილი.

კარლილს უნდა მოემზადებინა ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისათვის, მაგრამ როგორც პრესა აღნიშნავს, ავსტრალიელს ჯერჯერობით არაფერი გამოუდის. ადგილობრივი მწვრთნელები უარს ამბობენ გამოიყენონ უცხოელის მეთოდები. ეს უთანხმოება კიდევ უფრო ასუსტებს ჰოლანდიის გუნდს. ერთ-ერთი, რაც მოსალოდნელია ჰოლანდიის მოცურავეებისაგან ლაიპციგის ჩემპიონატზე, ეს არის ორი სამი საპრიზო ადგილი და მეტი არაფერი, — აცხადებს ამ ქვეყნის პრესა.

ევროპის თასის მფლობელი სპორტულ ტანვარჯიშში, ახალგაზრდა იუგოსლაველი სპორტსმენი მიროსლავ ცერარი დღითი-დღე სულ უფრო დაჯერებით ავიწროვებს მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა რიგებს და ლიდერთა სათავისაკენ მიისწრაფვის. ეს დადასტურდა პრაღის მსოფლიო ჩემპიონატზეც, სადაც იუგოსლაველმა ოსტატმა ოქროს მედლები მოიპოვა ორძელზე და ტაიჭზე ვარჯიშებში, ხოლო მრავალჭიდში დაიკავა მეხუთე საპატიო ადგილი მსოფლიოს ისეთ აღიარებულ ტანმოვარჯიშეთა შემდეგ, როგორნიც არიან ი. ტიტოვი, ი. ენდო, ბ. შახლინი და ტ. ონო.

განსაკუთრებით ძლიერია მ. ცერარი ტაიჭზე. მისმა ვარჯიშმა ამ იარაღზე, რომელიც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო პრაღაში, მაყურებელთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსაჯები დაისაჯნენ

ამას წინათ საციგურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურ სხდომაზე, რომელიც პორტოფინოში გაიმართა, განხილულ იქნა პრაღის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები ფიგურულ სრიალში. გაცხოველებული კამათი გამოიწვია მსაჯების საკითხმა. საქმე იმაშია, რომ მსაჯთა ერთი ნაწილი, რომელთა უმრავლესობას ამერიკელები და კანადელები შეადგენდნენ, მაღალ შედეგებს უწერდნენ თავიანთი ქვეყნების სპორტსმენებს.

საერთაშორისო ფედერაციამ პრაღის ჩემპიონატის მომსახურე ყველა ამერიკელ და კანადელ მსაჯს ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

## ფრენკ ბადი — ფეხბურთელი

ამერიკელ სპრინტერს ფრენკ ბადს მძლეოსნობის სპეციალისტები ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ყველას აზრით მას უნდა გაეუმჯობესებინა ა. ჰარის მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში. მაგრამ ეს წინასწარმეტყველება როგორც ეტყობა არ გამართლდება.

საქმე იმაშია, რომ ამერიკის პრესამ თავის მკითხველებს აუწყა, რომ ბადმა გადაწყვიტა დაამთავროს თავისი კარიერა მძლეოსნობაში და ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიონალურ ფეხბურთელთა გუნდში გადასვლის შესახებ. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი მკაცრია ამერიკული ფეხბურთის ჩვევები. არ არის მატჩი, რომ მას არ მოჰყვეს უბედური შემთხვევა. ყოველ წელს ამერიკაში, ფეხბურთის მინდვრებზე 200 სასიკვდილო და სერიოზული დაშავების შემთხვევაა. მიუხედავად ამისა, ბადმა გადაწყვიტა ფეხბურთელი გახდეს, რადგან მას გასამრჯელოდ დიდ თანხას აძლევენ.

# დღეს შეხვდებიან „გიგანტები“

საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა შეხვედრები იშვიათად მთავრდება მსოფლიო რეკორდების გარეშე. მოვიგონოთ თუნდაც „გიგანტთა“ გასული წლის მატჩი, როცა ერთბაშად მსოფლიოს ექვსი უმაღლესი მიღწევა იქნა გაუმჯობესებული. ვფიქრობ, მიმდინარე წლის შეხვედრაც, რომელიც 21-22 ივლისს პალო-ალტოში გაიმართება, არ წარმოადგენს გამონაკლისს და მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოსდაბოლოს სწორედ ამ შეჯიბრებაზე დაეცემა ჰ. კონოლის მსოფლიო რეკორდი უროს ტყორცნაში.

მომავალი შეჯიბრების ვრცელი პროგრამიდან მე უროს მტყორცნელებს გამოვყოფ არა მარტო იმისათვის, რომ ისინი ჩემი სპორტული კოლეგები არიან, არა. არავისთვის საიდუმლოება არაა ის, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მძლეოსანთა მატჩზე პროგრამის ყველა სახეობაში მოსალოდნელი არ არის თანაბარი ბრძოლა. თუ ბადროს და შუბის საბჭოთა მტყორცნელი ქალები ადვილად გაიმარჯვებენ და ვაჟთა სპრინტში და ბართვის კვრაში ასეთი შედეგის მოპოვება გაგვიჭირდება, ხოლო პროგრამის სხვა ნომრებში შეჯიბრება მიიღებს დუელის სახეს: ვ. ბრუმელი-ჯ. თომასი, რ. ბოსტონი-ი. ტერ-ოვანესიანი, ვ. ორტური-ვ. ტრუსენოვი.

უროს ტყორცნაში კი თავს იყრიან იმდენად ერთნაირი სიძლიერის მოწინააღმდეგენი, რომ მათ შორის ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, სენსაცია არ იქნება. მე კარგად ვიცნობ ოთხივეს, შევხვედრივარ მათ სტადიონის სექტორებზე და უფრო მშვიდ, მე ვიტყოდი, ინტიმურ მდგომარეობაშიც. და ახლა მატჩის წინ ვცდილობ რა, გამოვიცნო გამარჯვებული, ისევ და ისევ მათ საბრძოლო თვისებებზე ვფიქრობ, რომელსაც ხშირად მოაქვს გამარჯვება.

ჰ. კონოლი. 1958 წელს მან მოიგო შეჯიბრება პირველ მატჩში, როცა მე 2,5 მეტრით მაჯობა. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა, გეოგრაფიის მასწავლებელი შეუცვლელად ფლობს მსოფლიო რეკორდს და დაბერების ნაცვლად თანდათან ვაჟკაცდება. კონოლიმ უკვე წელს არაერთხელ გაგზავნა საწონი 69 მეტრს იქით. მსოფლიო რეკორდსმენი 31 წლისაა, ბევრს ფიქრობს და მუშაობს თავისი ტექნიკის სრულყოფაზე, მან გააგრძელა ტყორცნის ფინალი და 70 მეტრს მიაღწია, ახლა იგი ცდილობს დაამუშაოს ოთხბრუნიანი ტყორცნა (ჩვეულებრივად ტყორცნიან სამი ბრუნით). ამ ექსპერიმენტმა ჯერჯერობით ვერ გაამართლა, მაგრამ ვიცით, რომ კონოლის ისედაც კარგად შეუძლია ურო 69 მეტრს იქით გაგზავნოს.

ა. ჰოლი. კორნელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მეორედ მიიღებს მონაწილეობას „გიგანტთა მატჩში“. საბჭოთა სპორტსმენებს და მათ შორის მეც, არამარტო მოგვიგია, არამედ წაგვიგია კიდევაც მასთან. იგი განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ამერიკის მიმდინარე წლის პირველობაზე, რომელიც ნაკრების შესარჩევი შეჯიბრებაც იყო. მან სწორედ აქ ტყორცნა ურო 66.82 მეტრზე და 1.20 მ-ით აჯობა კონოლის. ჰოლი 28 წლისაა, აქვს 185 სმ სიმაღლე, იწონის 107 კილოგრამს. მისი ტექნიკა მცირედ თუ განსხვავდება კონოლის ტექნიკისაგან, ტურნირში ჰოლი ყველაზე სუსტად გამოიყურება, მაგრამ მას ჩვევია სიურპრიზების მოწყობა.

საბჭოთა გუნდში პირველ ნომრადაა ა. ბალტოვსკი, მასწავლებელი ბრესტიდან. მე მას ვკითხე, აქვს თუ არა გამარჯვების იმედი.

— ყველასა მეშინია, მაგრამ დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში, — მიპასუხა მან.

მხიარული, შეუპოვარი ალექსანდრე განწყობის ადამიანია. ხშირადაა შემთხვევა, როცა საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინაღამეს ნერვიულობს, არ ძინავს, რასაც ცუდ შედეგებამდე მიჰყავს იგი. მაგრამ ხშირად მაინც სძლევს ნერვიულობას და მისი საწონი უფრო და უფრო შორს ფრინავს. ამას წინათ ზნამენსკების მემორიალზე ბალტოვსკიმ მიმდინარე სეზონში მსოფლიოში მესამე შედეგი — 68.17 მ აჩვენა.

შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები, 185 სმ სიმაღლე, 105 კილოგრამი წონა 25 წლის მტყორცნელს საშუალებას აძლევს ნაყოფიერად გამოიყენოს ყველაზე მოწინავე ტექნიკა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში გამოვა აგრეთვე, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, 24 წლის ი. ბაკარინოვი. მის ანგარიშზეა არაერთი გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონ რუდენკოვზე, ევროპის ჩემპიონ პოლონელ ტ. რუტოვზე, კონტინენტის რეკორდსმენ დ. ქივოცკიზე. ასე რომ, ბაკარინოვი დამწყები როდია. იგი დაბალია (170 სმ), ვერც გრძელხელებას ვუწოდებთ მას. ერთი სიტყვით, თავისი ფიზიკური მონაცემებით არ ჰგავს მტყორცნელს, მაგრამ მისი წარმატების საიდუმლოებას ტექნიკური სრულყოფა წარმოადგენს. ბაკარინოვი შესანიშნავი შტანგისტია, მძიმე წონაში თავისუფლად ასრულებს ოსტატის ნორმას. ხშირად ერთად ვვარჯიშობთ და კალათბურთის მოედანზე, თუ სარბენ ბილიკებზე. მასთან შედარებით უსუსურად გამოვიყურები. ფიცხი, მოძრავი, დიდი ფიზიკური ძალა მას საშუალებას აძლევს 7-კილოგრამიან უროს მოეპყრას როგორც სათამაშოს.

ბაკარინოვი ბალტოვსკისაგან განსხვავებით მშვიდია, უსიტყვო, აქვს მტყორცნელის ყველა დამახასიათებელი თვისება.

ვიცი, პროგნოზების გაკეთება არ არის კარგი და მაინც ვწინასწარმეტყველებ, რომ პალო-ალტოში პირველი იქნება მოსკოველი სტუდენტი.

ა. სამოცვეტოვი,
„ნოვოსტის“ მიმომხილველი.

### კალათბურთელის პრივილეგია

ცნობილმა ფრანგმა კალათბურთელმა პიერ ლეფევრმა მიიღო პრივილეგია, რომელიც აქამდე მხოლოდ საფრანგეთის პრეზიდენტს ჰქონდა: პარიზის ყველა კინოთეატრში მისთვის გამოჰყვეს ერთი ადგილი საპატიო ლოჟაში.

მაგრამ ამ პრივილეგიის საიდუმლოება არის არა პ. ლეფევრის ბრწყინვალე წარმატებები, არამედ მისი სიმაღლე — 2 მეტრი და 18 სანტიმეტრი.

### კვლავ ლუისი

„შავმა ყუმბარმშენმა“ ჯო ლუისმა დიდი ხანია მიატოვა რინგი, მაგრამ უცხოეთის გაზეთები წერენ, რომ კრივში მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთა სიაში შეიძლება კვლავ გამოჩნდეს ეს გვარი.

საქმე იმაშია, რომ ჯო ლუისი ამჟამად წვრთნის თავის თანამოგვარეს, 18 წლის მძიმე წონის მოკრივე სტენ ლუისს. 26-ჯერ ავიდა რინგზე ს. ლუისი და 26 გამარჯვება მოიპოვა ნოკაუტით! დასაწყისი მეტად მრავლისმეტყველია.

### მიწიერი დიდება

სიცილიურ საფეხბურთო გუნდს „სან ჩიპირელოს“ ამას წინათ გადაარქვეს სახელი და უწოდეს „პაპ იოანე“. დასავლეთის გაზეთები ირონიით იტყობინებიან, რომ რომის პაპის იოან XXIII სახელი სამუდამოდ შევიდა სპორტის ისტორიაში.

გამოირკვა, რომ რომის პაპმა ღარიბ სიცილიურ კლუბს უყიდა 11 წყვილი სათამაშო ბუცი. ამის ფასად იოან XXIII სურს მოიპოვოს მიწიერი დიდება.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

თბილისის „მოწკავშირის“
სტენდი
მიმდინარეობს
საქართველოს
ტერიტორიულ-საუწყებო
პირველობა
სასტენდო სროლაში

საშუალო და უფროსი ასაკის
მოქალაქეთა საყურადღებოდ!

თბილისის სპორტულ ნაგებობათა სამმართველო აცხადებს, რომ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზთან (კონსტიტუციის ქუჩა № 6), ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზთან (სანაპიროზე), კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონთან და თბილისის სპორტკავშირის კორტებთან — პირველ აგვისტოდან მუშაობას დაიწყებს საერთო ფიზიკური მომზადების სექციები საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებისათვის.

ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს უფროსის მოადგილეს გ. პავლიაშვილს.

მისამართი: კონსტიტუციის ქუჩა № 6, ტელეფონი 5-01-21.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხ-სმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01075